წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 15

ქ. წალკა; 07.06.2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზვიად გელაძე, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:25 საათზე;

დღის წესრიგი:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დასკვნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომართვაზე წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.27.23.177) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე;

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დასკვნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომართვაზე წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.27.23.177) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე; რის შემდეგაც ზემოთხსენებულმა კომისიის თავმჯდომარემ ლევონ მარკოსიანმა ბიუროს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა. ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომართვაზე წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.27.23.177) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე ეთქვას უარი. ეთხოვოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს აღნიშნული საკითხი კანონით გათვალისწინებულ ვადაში განხილული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურები. დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას და ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 21 ივნისს საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე ი. გიგინეიშვილი *ი.გიგინეიშვილი*